არავინ არ განიწმინდოს, თუ არა სამი ქვით

სალმანმა (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) თქვა: «მრავალღმერთიანებმა გვითხრეს: "ვხედავ, რომ თქვენი მეგობარი თქვენ გასწავლით ყველაფერს, იმასაც კი თუ როგორ გახვიდეთ კუჭში", ჩვენ ვუპასუხეთ: "დიახ, მან ჩვენ აგვიკრძალა, რომ გავიწმინდოთ მარჯვენა ხელით, მივემართოთ ყიბლას მიმართულებით, და მან ასევე აგვიკრძალა ხმელი ნაკელის და ძვლების გამოყენება (ჩასაბანად)". და თქვა: «არავინ არ განიწმინდოს, თუ არა სამი ქვით».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

სალმან ალ-ფაარსიმ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მრავალღმერთიანები დაგვცინოდნენ და გვეუბნებოდნენ: თქვენი მოციქული ყველაფერს გასწავლით, იქამდეც კი, თ როგორ უნდა შეასრულოთ თქვენი ბუნებრივი მოთხოვნილებები, იქნება ეს შარდი თუ განავალი! სალმან ალ-ფარისიმ უპასუხა: დიახ, ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვასწავლა, როგორ უნდა მოვიხადოთ ბუნებრივი მოთხოვნილებები. მათ შორის, მან აგვიკრძალა მარჯვენა ხელით გაწმენდა, რათა ხელი დაცული ყოფილიყო სიბინძურისგან და პატივსაცემი დარჩენილიყო. მან აგვიკრძალა ქააბას მიმართულებით შარდვა ან განავალზე გასვლა. აგრეთვე, აგვიკრძალა ცხოველთა ხმელი ფუნისა და ძვლების გამოყენება გასუფთავებისთვის. და მან ბრძანა, რომ გასუფთავებისას არ უნდა დავკმაყოფილდეთ სამ ქვაზე ნაკლებით.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/10048